

საკ-ის XXVII საერთო (საარჩევნო) კრების
სამანდატო კომისიის სხდომის
ოქმი N 1

ქ. თბილისი

30 ნოემბერი 2017 წ.

სხდომას ესწრება საკ-ის გამგეობის მიერ (ოქმი N25, 27 ოქტომბერი 2017 წ.)
დამტკიცებული XXVII საერთო (საარჩევნო) კრების სამანდატო კომისიის წევრები ნ.
აბაშიძე, რ. ავალიშვილი, ნ. ახალკაცი, თ. ნაყოფია, მ. ქართველიშვილი.

დღის წესრიგი:

1. კომისიის თავმჯდომარის არჩევა
2. კომისიის მდივნის არჩევა

I საკითხი

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარედ დასახელდა ნ. აბაშიძის კანდიდატურა.

გადაწყვიტეს: კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნ. აბაშიძე

II საკითხი

მოისმინეს: კომისიის მდივნად დასახელდა ნ. ახალკაცის კანდიდატურა.

გადაწყვიტეს: კომისიის მდივნად არჩეულ იქნა ნ. ახალკაცი.

კომისიის წევრები:

ნ. აბაშიძე

30.11.2017 წ.

რ. ავალიშვილი

ნ. ახალკაცი

30.11.2017 წ.

თ. ნაყოფია

30.11.2017

მ. ქართველიშვილი

30.11.2017 წ.



საკ-ის XXVII საერთო (საარჩევნო) კრების
სამანდატო კომისიის სხდომის
ოქმი N 2

ქ. თბილისი

1 დეკემბერი 2017 წ.

სხდომას ესწრება საკ-ის გამგეობის მიერ (ოქმი N25, 27 ოქტომბერი 2017 წ.) დამტკიცებული XXVII საერთო (საარჩევნო) კრების სამანდატო კომისიის წევრები ნ. აბაშიძე, რ. ავალიშვილი, ნ. ახალკაცი, თ. ნაყოფია, მ. ქართველიშვილი.

დღის წესრიგი:

1. საკ-ის თავმჯდომარის კანდიდატა სიის დამტკიცება.
2. საკ-ის ხმის უფლების წევრთა სიის დამტკიცება.
3. საკ-ის აპარატისათვის დავალების მიცემა დამტკიცებული სიების საიტებზე განსათავსებლად.

I საკითხი

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ნ. აბაშიძის მოხსენება.

1. შემოსულია საკ-ის მოქმედი თავმჯდომარის აბულაძე დავით გურამის ძის განცხადება თავმჯდომარის კანდიდატობის შესახებ 30.11.2017 წლის 16 საათსა და 30 წუთზე, 27 მხარდამჭერის ხელმოწერით. მათგან ხმის უფლება აქვს 27 წევრს. შემოვდივარ წინადადებით დასამტკიცდეს კანდიდატურა მოქმედი წესდების შესაბამისად მხარდამჭერთა 27 ხმით.
2. შემოსულია საკ-ის წევრის ძინძიბაძე პავლე ვახტანგის ძის განცხადება თავმჯდომარის კანდიდატობის შესახებ 30.11.2017 წლის 16 საათსა და 50 წუთზე 33 მხარდამჭერის ხელმოწერით. მათგან ხმის უფლება აქვს 27 წევრს. შემოვდივარ წინადადებით დასამტკიცდეს კანდიდატურა მოქმედი წესდების შესაბამისად მხარდამჭერთა 27 ხმით. მხარდამჭერ საკ-ის 6 წევრს არ აქვს ხმის მიცემის უფლება.

გადაწყვიტეს ერთხმად: დამტკიცდეს საკ-ის თავმჯდომარის კანდიდატებად:

1. აბულაძე დავით გურამის ძე.
2. ძინძიბაძე პავლე ვახტანგის ძე.

II საკითხი

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ნ. აბაშიძის ინფორმაცია.

კომისიის მდივნის ქ-ნ ნინო ახალკაცის მიერ წარმოდგენილია საკ-ის 325 წევრის სია, რომლებმაც 2017 წლის 1 დეკემბრის 17.00 საათისათვის დაფარული აქვთ საწევრო შესატანი და რეკომენდაციას იძლევა დამტკიცდეს საკ-ის წევრთა ხმის უფლების მქონეთა სია.

გადაწყვიტეს ერთხმად: დამტკიცდეს საკ-ის წევრთა ხმის უფლების მქონეთა სია 325 წევრის შემადგენლობით.

III საკითხი

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ნ. აბაშიძის ინფორმაცია.

მოქმედი წესდების შესაბამისად კომისიის გადაწყვეტილებებით დამტკიცებული სიები საკ-ის აპარატმა უნდა განათავსოს საინფორმაციო საიტებზე.

გადაწყვიტეს ერთხმად: დაევალოს საკ-ის მოქმედ აპარატს განათავსოს საკ-ის საინფორმაციო საიტებზე კომისიის გადაწყვეტილებებით დამტკიცებული სიები დაუყოვნებლივ.

კომისიის წევრები:

ნ. აბაშიძე

რ. ავალიშვილი

ნ. ახალკაცი

თ. ნაყოფია

მ. ქართველიშვილი

